

2011–2014 წლებში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში
განხორციელებული პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შეფასება

ქეთევან ომანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
სრული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევან ომანაძე

ხელმოწერა

თარიღი: 13. 06. 2014

აბსტრაქტი

წლების მანძილზე პენიტენციალურ ჯანდაცვის სისტემაში არსებულმა პრობლემებმა ადეკვატური ასახვა ჰპოვა მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც უმთავრესად მოკვდაობის გაზრდით, გარდაცვალების ძირითად მიზეზთა სტრუქტურით, ასევე, დაავადებიაობისა და ავადობის მომატებით გამოიხატებოდა.

შექმნილმა სიტუაციამ დღის წესრიგში დააყენა პენიტენციალური ჯანდაცვის სისტემის ძირეული ფუნქციური და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების საჭიროება და საქართველოს მთავრობამ დაიწყო პენიტენციალური ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება

რეფორმის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) ეფექტურ მეთოდზე დაფუძნებული სერვისების დანერგვა, რომელიც მიზანმიმართული იქნებოდა პატიმართა რეალურ საჭიროებებზე.

მოცემული ნაშრომის მიზანია წარმოადგენოს პენიტენციალურ სისტემაში განხორციელებული რეფორმების ეფექტობის შეფასება. კვლევის ფარგლებში შედგა, ფოკუსური ჯგუფის დისკუსიები და ჩაღრმავებული ინტერვიუ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სპეციალისტებთან, პენიტენციური ჯანდაცვის ექსპერტებთან.

მიუხედავად სისტემაში ჯერ კიდევ არსებული სირთულეებისა, კვლევის შედეგებში გამოიკვეთა, რომ 2011–დან 2014 წლამდე პენიტენციური ჯანდაცვის სისტემამ რეფორმების წარმატებული გზა განვლო და მთლიანობაში იგი უნდა შეფასდეს დადებითად.

რეკომენდაციის სახით ვურჩევდით, მუდმივი ყურადღება მიექცეს სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას, უწყვეტი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფის გზით. ხშირად იყოს შესაძლებლობა მკვლევართათვის კვლევების

ჩასატარებლად და ეს ინფორმაცია იყოს საჯარო, რათა მოსახლეობისათვის მიღებულ შედეგებზე ხელმისაწვდომობა იყოს მაღალი.

ვფიქრობ, პენიტენციურ სისტემაში ამოქმედებული პირველადი ჯანდაცვის რეფორმა საბოლოოდ მიგვიყვანს სრულყოფილ შედეგამდე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რეფორმა, პენიტენციური სისტემა, პირველადი ჯანდაცვა.

Abstract

Key Words: _____ , _____ , _____.

მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, ბატონ თენგიზ ვერულავას. ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ დოქტორანტს, მაგდა ასათიანს.

ასევე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათია ლანდიას, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პირველადი ჯანდაცვის პილოტირების პროგრამების ასისტენტს ქალბატონ ნანა დეისაძეს. მადლობას ვუხდით ბატონ მიშა ივანიშვილს, ქალბატონ ნანა მაღრაძეს, ქალბატონ მარინა შიხაშვილს და N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების მთავარ ექიმს ბატონ ვახტანგ ქერქაძეს გაწეული დახმარებისთვის.